

განმარტებითი ბარათი

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

არსებული კანონის თანახმად, განსაზღვრულია რეპატრიანტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები, მაგრამ არსებობს გარკვეული ხარვეზი რომელიც საჭიროებს აღმოფხვრას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია რეპატრიანტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლებში არსებული ხარვეზის აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით “რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ვადების დარღვევა და ამავე დადგენილების შესაბამისად გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი გამოიწვევს რეპატრიანტის სტატუსის შეწყვეტას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

